ოქმი:**ო37. 3725329001**

თარიღი:**25/11/2025**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

2025 წელი, 24 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

12:00- 12:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალითეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ტ. ბარამიძე, ე. გორდელაძე, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 11 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1..,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე N19 ქუჩისათვის „ალექსანდრე ჟორჟოლიანის“ სახელის მინიჭების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე უსახელო ქუჩისათვის „ალექსანდრე ჟორჟოლიანის“ სახელის მინიჭების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის N7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2 საკითხები განხილვისა და დამტკიცების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. N3 -საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განხილვისა და საკრებულოს სხდომაზე დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივ კომისიას (გ. ჩავლეშვილი).

3. N4,5 --საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განხილვისა და საკრებულოს სხდომაზე დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივ კომისიას (მ. ჩხიკვიშვილი).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი